ადრესატი:

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**47-47222976**
თარიღი: **24/10/2022**

.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოგი ბოლქვაძის ანგარიში 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

____

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გოგი ბოლქვაძე

ს

მაჟორიტარული ოლქის დასახელება _____

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ფრაქცია „ჩოხატაური საქართველოსთვის“ ფრაქციის თავმჯდომარე

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: სივრცით ტერიტირიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი: ფრაქცია „ჩოხატაური საქართველოსთვის“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): პარტია გახარია საქართველოსთვის. პარტიულობა (პროპორციული) სიით არჩეული.

საანგარიშო პერიოდი: 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 13

   საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 12

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - 9

   საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება - 8

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ----------

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ----------

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: ფრაქცია „ჩოხატაური საქართველოსათვის“

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 4

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები ----------

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: ფრაქციამ იმუშავა შემდეგ საკითხებზე, ჩვენ მხარი დავუჭირეთ სოციალური დახმარების გაცემის წესს.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ სათანადოდ არ ვიყავით გაცნობილი 2022 წლის ბიუჯეტს, ფრაქციის გადაწყვეტილებით ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში არ მივიღეთ მონაწილეობა, ასევე მასში ცვლილებების ასახვას.

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 2 საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 150

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: 1. დასაქმების პრობლემა; 2. სოციალური პრობლემების გაუმჯობესება; 3. ინფრასტრუქტურა სოფლებში, კერძოდ შიდა სასოფლო გზების და სასმელი წყლის სისტემები; 4. ახალგაზრდების მიერ წამოჭრილი საკითხები სოფლებში ახალგაზრდული ცენტრების მოწყობა, ასევე სოფლის ცენტრებში უფასო ინტერნეტის საკითხი; 5. დაბის საკანალიზაციო სისტემის არქონა; 6. მიუსაფარი ცხოველების პრობლემა მუნიციპალიტეტში.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): ერთ-ერთი შეხვედრისას გამოიკვეთა გზის პრობლემა. აღნიშნული საკითხის თაობაზე შევხვდით აღმასრულებელ ორგანოს, კერძოდ მუნიციპალიტეტის მერს. მერთან ერთად ასევე განვიხილეთ რამდენიმე საკითხი, რაც შეეხება ხსენებულ გზას, გამოყოფილი იქნა დაფინანსება და დღეის მდგომარეობით გზას ჩაუტარდა სამუშაოები.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: შეხვედრები NDI ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფებთან, საბიუჯეტი პროცესში, ასევე საზედამხედველო საქმიანობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ტრენინგ- შეხვედრებში მონაწილეობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებული შედეგები: ----------

---

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: 2023 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფრაქცია. ვარ მერის მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის წევრი. ჩემი მოთხოვნის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება ბრძანებაში პრიორიტეტის დოკუმენტების შედგენის პროცესში. მივმართეთ მერს წერილობით მოსახლეობასთან შეხვედრის დროს წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც 2023 წლის ბიუჯეტში არის გასათვალისწინებელი. კერძოდ:

1. დაბის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, უკიდურეს შემთხვევაში არსებულის შეკეთება;

2. ნარჩენების მართვა დაბის ტერიტორიაზე და მის განთავსებაზე კონტროლი.

3. მიუსაფარ ცხოველთა კასტრაცია-სტერილიზაციის დაფინანსება;

4. წყლის მომარაგების საკითხი სოფ. გორაბერეჟოულში;

5. ახალგაზრდული საკითხები და უფასო ინტერნეტიზაცია სოფლის ცენტრებში;

6. სოციალური დახმარების წესში ცვლილების შეტანა. ახალი სისტემების დანერგვა, კერძოდ ვაუჩერიზაციაზე გადასვლა,

ანგარიშის მომზადების თარიღი 21 ოქტომბერი 2022 წელი.

ანგარიშის წარდგენის თარიღი 24 ოქტომბერი 2022 წელი

პატივისცემით:

გოგი ბოლქვაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია "ჩოხატაური საქართველოსთვის"-ფრაქციის თავმჯდომარე